პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1973 წ.
№ 124 (4894) 26 ივნისი, სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ერთი ძველი და ცხრა ახალი ჩემპიონი

კრასნოიარსკი, 24 ივნისი. დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონებმა. შეხვედრები მძაფრად და საინტერესოდ მიმდინარეობდა. უნდა აღინიშნოს, რომ შარშანდელ ჩემპიონთაგან უმაღლესი წოდება მხოლოდ რ. დმიტრიევმა შეინარჩუნა. დანარჩენ 9 წონით კატეგორიაში გამარჯვებულთა სია მთლიანად განახლდა.

უმჩატეს წონაში (48 კგ-მდე) ოქროს მედალი პირველად დაიმსახურა ახალგაზრდა კრასნოიარსკელმა ოსტატმა ვ. ტოპჩინაკოვმა. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ტოპჩინაკოვს ამ წარმატებაში ხელი შეუწყო იმან, რომ ოლიმპიური ჩემპიონი, მოსკოველი რ. დმიტრიევი ზედა წონით კატეგორიაში გადავიდა. მოსკოველმა თავისი მაღალი ოსტატობა ახალ ამპლუაშიც (52 კგ-მდე) დაამტკიცა და ოქროს მედალი მოიპოვა.

ლევან თედიაშვილი — უმაღლეს საფეხურზე

ქვემსუბუქ წონით კატეგორიაშიც (57 კგ-მდე) ახალი ჩემპიონია — მახაჩყალელი ვ. იუმინი. რაც შეეხება მსუბუქ წონას (62 კგ-მდე), აქ პირველობა გამოცდილმა ალმაათელმა ათლეტმა ა. ბუგუბაევმა მოიპოვა.

შეიცვალა წონა მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონმა ზ. აბდულბეკოვმაც (მახაჩყალა). შარშან იგი მსუბუქ წონაში ასპარეზობდა, წლეულს კი პირველ ქვესაშუალოში (68 კგ-მდე) გამოვიდა და წარმატებითაც სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა.

ზედა, მეორე ქვესაშუალო წონაში (74 კგ-მდე) გამოვიდა ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, აბდულბეკოვის თანაქალაქელი რ. აშურალიევიც. მიუხედავად ამისა, მან ყველა შეხვედრა მოიგო.

პირველ საშუალო წონაში (82 კგ-მდე) ჩემპიონი გახდა ლენინგრადელი ვ. ნოვოჟილოვი, ხოლო მეორე საშუალო წონაში (90 კგ-მდე) მიუნხენის ოლიმპიადის ოქროს პრიზიორი, თბილისელი ლ. თედიაშვილი (შარშანდელთან შედარებით იგიც მაღალ წონაში გამოდის).

ქვემძიმე წონაში (100 კგ-მდე) ტოლი არ ჰყავდა კრასნოიარსკელ ოლიმპიურ ჩემპიონს ი. იარიგინს, ხოლო მძიმეში (100 კგ-ს ზევით) — ახალგაზრდა ორჯონიკიძელ ათლეტს ს. ანდიევს.

გთავაზობთ პრიზიორთა სიას:

უმჩატესი წონა. 1. ვ. ტოპჩინაკოვი (კრასნოიარსკი), 2. ნ. კულიევი (ბაქო), 3. ს. მუკაშოვი (ალმა-ათა).

მჩატე. 1. რ. დმიტრიევი (მოსკოვი), 2. ა. ივანოვი (ალმა-ათა), 3. მ. ჩხაიძე (თბილისი).

ქვემსუბუქი. 1. ვ. იუმინი (მახაჩყალა), 2. ლ. ბოგატირიოვი (მოსკოვი), 3. პ. შესტაკოვი (მინსკი).

მსუბუქი. 1. ა. ბუგუბაევი (ალმა-ათა), 2. ა. მიცეკი (ყარაგანდა), 3. ბ. გაჯიევი (მახაჩყალა).

პირველი ქვესაშუალო. 1. ზ. აბდულბეკოვი (მახაჩყალა), 2. ს. იბრაგიმოვი (ბაქო), 3. ა. მატვეევი (ლენინგრადი).

მეორე ქვესაშუალო. 1. რ. აშურალიევი (მახაჩყალა), 2. ა. აირაპეტიანცი (ერევანი), 3. გ. ზილბერმანი (მინსკი).

პირველი საშუალო. 1. ვ. ნოვოჟილოვი (ლენინგრადი), 2. ვ. სიულჟინი (მინსკი), 3. ვ. პოტაპენკო (კიევი).

მეორე საშუალო. 1. ლ. თედიაშვილი (თბილისი), 2. ვ. მარშანია (სოხუმი), 3. პ. სურიკოვი (ალმა-ათა).

ქვემძიმე. 1. ი. იარიგინი (ალმა-ათა), 2. ვ. გულიუტკინი (კიევი), 3. ე. იკაევი (ორჯონიკიძე).

მძიმე. 1. ს. ანდიევი (ორჯონიკიძე), 2. ნ. მოდებაძე (თბილისი), 3. ვ. პარშუკოვი (სიქტივკარი).

წაიკითხეთ:

მე-2 გვერდზე —

„ლოკომოტივის" გუნდში საგანგაშო მდგომარეობაა. სტარტზე ორი მარცხი საგრძნობი ანგარიშით, როცა რეზერვი არ გვყავს, დამაფიქრებელია. კოლექტივს დროით სჭირდება შველა, თორემ მერე გვიანღა იქნება.

მე-4 გვერდზე —

ფიფა-ს დადგენილებით, 15 აგვისტოს აღინიშნება „მსოფლიოს ფეხბურთის დღე". ეს დღესასწაული ამიერიდან ტრადიციად იქცევა.

მთელი ოქროს მარაგი

ლოზანა, 23 ივნისი. ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატში დღეს გათამაშდა მედლების კიდევ ორი კომპლექტი. საშუალო წონაში ყველას აჯობა იაპონელმა ს. ფუძიმ. ქვესაშუალო წონაშიც ჩემპიონის ტიტული იაპონელმა ძიუდოისტმა დაისაკუთრა — მიუნხენის ოლიმპიადის ოქროს ლაურეატმა ტ. ნომურამ. ამ წონით კატეგორიაში ხარკოველ ა. ნოვიკოვს, ისევე როგორც XX ოლიმპიადაში, ბრინჯაოს მედალი ხვდა.

ლოზანა, 24 ივნისი. დღეს დამთავრდა ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. ასპარეზობის დასკვნით დღეს სსრ კავშირის ნაკრების წევრმა შ. ფიცხელაურმა ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა მსუბუქ წონაში. საბჭოთა ათლეტი ნახევარფინალში იაპონელ ი. მინამისთან დამარცხდა, რომელიც ბოლოს ჩემპიონი გახდა კიდეც. მინამიმ ფინალური ორთაბრძოლა თანამემამულე ტ. კავაგუჩის მოუგო.

საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ფიცხელაურთან ერთად კუბელი ხ. როდრიგესი ავიდა.

აბსოლუტურ პირველობაში უძლიერესი იყო იაპონელი კ. მინომია.

ამ ჩემპიონატში იაპონელებმა უმაგალითო წარმატებას მიაღწიეს: მთელი ოქროს მარაგი იგდეს ხელთ — დაისაკუთრეს ჩემპიონთა ექვსივე მედალი, მაგრამ ამომავალი მზის ქვეყნის სპორტსმენთა წარმატება ამით არ ამოიწურა: მათ კიდევ 4 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიგეს.

საბჭოთა ძიუდოისტების ანგარიშზეა 1 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი. ასეთივე ნადავლით ბრუნდებიან შინ გდრ-ის ათლეტები.

მოროზოვამ გულაგონგს სძლია

ლონდონი, 24 ივნისი. ხვალ ინგლისის დედაქალაქში სტარტს აიღებს უიმბლდონის ტურნირი, მანამდე კი ტრადიციულად ფინიში ჰქონდა „კუინს-კლაბის" ღია შეჯიბრებას, რომელშიც მსოფლიოს ბევრმა უძლიერესმა ჩოგბურთელმა მიიღო მონაწილეობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსკოველი ო. მოროზოვას წარმატება. ნახევარფინალში მან ანგარიშით 6:2, 6:3 სძლია ამერიკელ ჯ. ზიგენფუსს, ფინალში კი 1971 წლის უიმბლდონის ტურნირში გამარჯვებულ ი. გულაგონგს (ავსტრალია) აჯობა — 6:3, 6:2. მეოთხედფინალში გულაგონგმა თანამემამულე ქ. მელვილი დაამარცხა (2:6, 6:4, 6:1), ნახევარფინალში კი ამერიკელი ჯ. ჰელდმენი, რომელმაც მეოთხედფინალურ მატჩში ყველასთვის მოულოდნელად აჯობა თანამემამულე ქ. ევერტს — 6:4, 6:2.

თბილისელ ა. მეტრეველს ნახევარფინალში მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ი. ნასტასე (რუმინეთი) შეხვდა. უაღრესად დაძაბული ბრძოლა ორ საათს გაგრძელდა. გაიმარჯვა ნასტასემ — 6:8, 9:7, 7:5. მეტრეველი წინ იყო როგორც მეორე (7:6), ისე მესამე, გადამწყვეტ პარტიაშიც (4:1), მაგრამ ნასტასემ შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა. ფინალში რუმინელმა ჩოგბურთელმა ინგლისელ რ. ტეილორს სძლია — 9:7, 6:3.

მეოთხედფინალში ნასტასემ იოლად გატეხა ი. ელ შაფეის (არაბეთის რესპუბლიკა ეგვიპტე) წინააღმდეგობა — 6:0, 6:3. სხვა მეოთხედფინალური შეხვედრები ასე დამთავრდა: რ. ტეილორი — ქ. დრისდეილი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) 6:3, 6:3, თ. დავიდსონი — ჯ. ნიუკომბი (ორივე — ავსტრალია) 7:5, 6:3.

უიმბლდონის მთავარ ტურნირში მოროზოვასა და მეტრეველის გარდა საბჭოთა ჩოგბურთელთაგან მონაწილეობას მიიღებენ მ. კროშინა, თ. კაკულია, ს. ლიხაჩოვი, ხოლო „უმცროსთა უიმბლდონში" — მოსკოველები მ. ჩმირიოვა და ქ. პუგაევი.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 22 ივნისის ბრძანებულებებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ვალერიან სერგოს ძე ძაბახიძე — გადამდგარი გენერალ-მაიორი, — მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში აქტიური მონაწილეობისთვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით;

ბორის მიხეილის ძე დიაჩკოვი — სპორტის დამსახურებული ოსტატი და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, — ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით.

[illegible]

◆ ზუგდიდი

ქალაქის პირველობაში 14 მოჭადრაკემ ითამაშა. უძლიერესის სახელი მოიპოვა თბილჰიდროპროექტის ენგურჰესის განყოფილების ჯგუფის ხელმძღვანელმა, პირველთანრიგოსანმა გ. მაქაცარიამ — 12,5 ქულა.

ა. ფიფია.



პიარნუში (ესტონეთი) მოჭადრაკე ვაჟთა მეგობრულ ტურნირში სათამაშოდ გამგზავრების წინ მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს ესტუმრა. გულთბილ საუბარს საჭადრაკო პაექრობა მოჰყვა.

სურათზე: ნონა ეთამაშება მ. მაჩაიძეს. იქვე არიან რ. ძოძუაშვილი და ვ. გუცაევი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

სიმღერა ტურისტის თანამგზავრია

შეჯამდა საუკეთესო ტურისტული სიმღერისთვის მესამე საკავშირო კონკურსის შედეგები, რომელიც გამოაცხადა ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალურმა საბჭომ სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირთან და სსრ კავშირის მწერალთა კავშირთან ერთად. ჟიურიმ რსფსრ-ს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კომპოზიტორ ო. ფელცმანის თავმჯდომარეობით განიხილა ოთხასამდე ნაწარმოები და 11 საუკეთესო პრემიებით აღნიშნა.

დაჯილდოებულთა შორის არიან ქართველი კომპოზიტორები და პოეტები. პირველი პრემია მიენიჭა კომპოზიტორ შ. მილორავას სიმღერას „დელა-დელიას", რომლის ტექსტი ეკუთვნის პოეტ მ. ფოცხიშვილს (იხ. „ლელოს" წინა ნომერი). მათსავე ერთობლივ ნამუშევარს „ნორჩ ტურისტთა სიმღერას" მიენიჭა მესამე პრემია.

მეოთხე პრემია დაიმსახურეს კომპოზიტორ ო. თევდორაძის მიერ ი. მოსაშვილის სიტყვებზე დაწერილმა სიმღერამ „გზაში სიმღერით" და ვ. პანოვის ლექსზე დაწერილმა ო. თევდორაძის სიმღერამ „მგზავრულმა".

კონკურსის შედეგებისადმი მიძღვნილ საღამოზე ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პ. პასეჩნიმ და ჟიურის თავმჯდომარემ ო. ფელცმანმა ლაურეატებს გადასცეს ჯილდოები და უსურვეს ახალი შემოქმედებითი წარმატებანი.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის ჩემპიონატი

რაგბი

დებიუტანტი გამოცდას აბარებს

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 23 ივნისი.

„დინამო“ (თბილისი) — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) 19:14 (9:0).

„ДИНАМО“: მამულაშვილი, აკოფოვი, თ. ძამაშვილი, კეთილაძე, დავითაია, რამიშვილი, ბუგიანიშვილი, თუშიშვილი (თოფურიძე), გ. აბაშიძე, კიზირია, ვ. აბაშიძე, მგელაძე, თოფურია, ეკალაძე (მარაშენიძე), შუანდერი.

მ ს ი: კულაკოვი, პაშინსკი, იგნატიევი, ჩერენკოვი, ზამიატინი, ბელენკოვი, რიბკინი, კოჟინი, კუზოვკინი (ვინოგრადოვი), ლიგინი, კუზმინსკი, ბობროვი, სიგაევი, გლადნიკოვი, გარკუშა.

მსაჯი ა. შნაიდერი (ოდესა).

სტუმრების გუნდში ათი სპორტის ოსტატი და რვა სპორტის ოსტატობის კანდიდატია. „დინამო“ ასეთი მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენებით ვერ დაიქადნის, მაგრამ გუნდისთვის ამას ხელი არ შეუშლია, რომ თამაში თავისთვის სასურველი გზით წარემართა.

უმაღლესი ლიგის დებიუტანტებს მოსკოველებს თავდაპირველად ერთგვარი უპირატესობის მოპოვების საშუალება მისცეს. ეს მეტოქის ჩანაფიქრის გამოცნობის სურვილით იყო ნაკარნახევი, რაც მასპინძლებს მე-2 წუთზე კინაღამ ძვირად დაუჯდათ: ლიგინის იერიში დინამოელებმა ბოლო მომენტში ჩაშალეს.

თბილისელებმა დაცვაში ყველა რგოლი სასწრაფოდ მოაწესრიგეს და შეტევაზე გადავიდნენ. პირველი ნაყოფი მათ უკვე მე-9 წუთზე მოიმკეს: გუნდის კაპიტანმა კიზირიამ საჯარიმოთი გახსნა ანგარიში — 3:0. საერთოდ უნდა ითქვას, რომ კიზირია მარტო მოთამაშე კი არა, თბილისელთა თითქმის ყველა იერიშის ორგანიზატორი, გუნდის ნამდვილი დირიჟორი იყო.

მასპინძლები მალე მდგომარეობის ბატონ-პატრონები გახდნენ. ისინი მოსკოველ სტუდენტებს ყველაფერში სჯობდნენ, განსაკუთრებით კარგად შლიდნენ მარაოს, მეტოქის ჩათვლის მოედანს ზედიზედ უტევდნენ, მაგრამ იქ შესვლა და ბურთის მიწაზე დადება ვერ მოახერხეს. შესვენებამდე ვ. აბაშიძემ და ისევ კიზირიამ საჯარიმოებით ანგარიში 9:0-მდე აიყვანეს.

მატჩი განახლდა თუ არა, სტუმრებმა „დინამოს“ ჩათვლის მოედნის მისადგომებს მედგრად შეუტიეს და 45-ე წუთზე მარჯვენა ფლანგზე წინ გაჭრილი კოზინი თბილისელებმა თავიანთი ჩათვლის მოედნის ხაზთან ძლივს შეაჩერეს. დაინიშნა შერკინება, რომელიც სტუდენტებმა მოიგეს. მათ ბურთი სწრაფად გადაიტანეს მარცხენა ფლანგზე, აქ კი „დინამო“ დაცვაში შეცდა და კუზოვკინმა ანგარიშში სხვაობა შეამცირა — 4:9.

54-ე წუთი მიმდინარეობდა. სტუმრები უტევდნენ. ყველა რეგბისტი „დინამოს“ ნახევარზე იყო. მოულოდნელად ბურთს ვ. აბაშიძე დაეუფლა. მას ვერავინ დაეწია და თბილისელს ისღა დარჩენოდა, რომ ბურთი მეტოქის ჩათვლის მოედანში ზედ კარის უკან დაედო — 13:4.

გაამწრებული თამაშით ქების ღირსია ვ. აბაშიძე. თანაგუნდელები სწორედ მან კიდევ უფრო დააწინაურა, როცა შუა ტაიმში თითქმის 35 მეტრიდან ზუსტად დაარტყა საჯარიმო.

ანგარიშში ასეთმა სხვაობამ (16:4) სტუმრები როდი დააბნია. ისინი უფრო თავგამოდებით ათამაშდნენ და ხუთიოდე წუთის მერე წარმატების საშუალება მიეცათ, მაგრამ კუზოვკინის საჯარიმო დარტყმა ძელებს ასცდა.

შეხვედრის დამთავრებას 9 წუთი აკლდა. აკოფოვის რეიდი სტუმრებმა აკრძალული ხერხით შეაჩერეს. ჯარიმა. კიზირიას დარტყმა — 19:4. სწორედ ამ მომენტიდან დინამოელებს რატომღაც ნერვიულობა დაეტყოთ. დაიღალნენ თუ ასეთი გამარჯვებით გახარებულებს ნერვებმა უმტყუნათ, უსწოროდ თამაშობდნენ, ყურადღება და ტემპი მოადუნეს. ამან მოსკოველებს თითქოს ხელ-ფეხი გაუხსნა. ბოლო ხუთ წუთში პაშინსკიმ და სიგაევმა ბურთი თბილისელთა ჩათვლის მოედანზე დადეს. კუზოვკინმა ერთი რეალიზაცია ზუსტად გამოიყენა და სტუმრებმა დიდი ანგარიშით წაგებას თავი დააღწიეს.

ო. გელაშვილი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: შეტევაზეა თბილისელი თ. მგელაძე.

ავტორის ფოტო.

სპორტსმენის ნათელი ღიმილი

სიმონ მაისურაძე გულიანად იღიმება, როცა საყვარელ ჩაბინაანს ვუხსენებ. მოვაგონე: ერთხელ ჩემს ბიძაშვილს — თავის თანაკლასელ ჯიმშერს შველოდა ბარვაში, ბარზე დამსვა და ისე ბარავდა. მაშინ მე სამი წლისა ვიყავი, ის კი თხუთმეტისა, დედაჩემის ნაშოწაფარია და მეამაყება. ისიც მეამაყება, რომ აწყურის საშუალო სკოლის გაზრდილებმა, გიგა გიგაურის მოწაფეებმა — მაისურაძეებმა, ჩიკვილაძეებმა, ბაკურაძეებმა, ჯავახიშვილებმა, მჭედლიშვილებმა, ფიცხელაურებმა, წითელაურებმა და სხვებმა მევრჯერ ისახელეს თავი ჭიდაობაში, სკოლაც ასახელეს, რაიონიც და ქვეყანაც.

• • •

დღეს სიმონი იხსენებს, რომ ქართული ჭიდაობა, ეს რაინდული სპორტი, ბიძამ—დედის ძმამ ანთიმოზ კერესელიძემ დააწყებინა. ეს იყო 1938 წელს მეზობელი სოფლის ზემო ხოდაშნის ახალაგებულ ცირკში. თერთმეტი წლის ტანთხელმა ბიჭმა ჩოქელა კისრულით მოაწონა თავი უფროსებს, ისინი კი ქებაში არც ისე გულუხვი იყვნენ: იმ დროს იქ უკვე ჭიდაობდნენ აღიარებული ფალავნები ნოე მაისურაძე, გიგა გიგაური, მოსე ჯავახიშვილი, მიშა ქიქიაშვილი, კაკო ყიფიანი, კოლა მაისურაძე...

სიმონისა უკვირდათ: ჩოხაში ხელის წავლება და კისრულით წაღება მეტოქისა ერთი იყო (სხვათა შორის, ჭიდაობაში სულ არ ეტყობოდა რაჭველობა). სწრაფი, ცოცხალი, კატასავით მოქნილი, წელს ვერ დაადებინებდა კაცი. მრავლის მნახველ მოჭიდავეებს სწორედ ეს მოსწონდათ.

1934 წელს სიმონ მაისურაძე ჩაბინაანის სკოლაში შეიყვანეს. 1938 წელს აწყურის საშუალო სკოლაში გადავიდა, იქვე, მეზობლად... თელავის რაიონის სოფლები ზემო ხოდაშენი და ჩაბინაანი გაერთიანებული იყო ერთ კოლმეურნეობაში, რომლის თავკაცი ვახტანგ უთიაშვილი ჭიდაობის ნამდვილი ტრფიალი გახლდათ. 1938 წელს ნისი თაოსნობითა და სოფლის ძალებით ცირკი აშენდა, იმ დროისთვის მეორე სასოფლო ცირკი მთელს საბჭოთა კავშირში. იქ იმართებოდა სასოფლო, სარაიონო და რესპუბლიკური შეხვედრები ქართულ ჭიდაობაში, ჩამოდიოდნენ სანდრო კანდელაკი და სხვა ცნობილი ათლეტები.

ვახტანგი ახმეტაში რაიონის სოფლების მოჭიდავეთა შეხვედრებს აწყობდა. ჭიდაობა ძველ ბაზართან იმართებოდა. სარბიელი წრეში დაყრილი ნახერხი იყო. აწყურის საშუალო სკოლის გუნდს ფიზკულტურის მასწავლებელი გიგა გიგაური მეთაურობდა...

მაშინ მანქანებით განებივრებული არ იყო თელავი — ახმეტის გზა. მოჭიდავეები აწყურიდან ახმეტამდე 15-20 კილომეტრზე ფეხით ადიოდნენ, იქ იჭიდავებდნენ და ისევ ფეხით ბრუნდებოდნენ ხან თავსხმა წვიმაში, ხან პაპანაქება სიცხეში. ომის წლებში სპორტსმენებს შეკრებები ჰქონდათ ხან სოფელ ქისტაურში, ხანაც თელავში — ნადიკვარზე. სიმონი მაშინ უკვე ყურადღებას იქცევდა.

1946 წელს გურჯაანში ზონალური გუნდური შეჯიბრება ჩატარდა, სადაც I ადგილი აწყურის საშუალო სკოლამ დაიკავა. სხვებთან ერთად კვლავ თავი ისახელა 19 წლის მოჭიდავემ სიმონ მაისურაძემ...

1947 წელს გორში მოეწყო ზონალური პირადი პირველობა, სადაც მსუბუქ წონაში I ადგილი სიმონმა დაისაკუთრა.

1950 წელს ჩატარებულ თბილისის აბსოლუტურ ჩემპიონატში სიმონი დედაქალაქის ფალავანი გახდა, ხოლო 1952 წელს საქართველოს ჩემპიონობაც მოიპოვა.

... 1948 წელს სიმონი თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი, სპორტის დიდი ქომაგი და მოყვარული, ახალგაზრდა სპორტსმენთა მამად წოდებული ნიკო კეცხოველი მაისურაძის ყოველ ჭიდაობას ესწრებოდა და თითით ანიშნებდა ხოლმე სიმონს: მეტოქე აქ წამიქციეო. ისიც იშვიათად აწყენინებდა... 1953 წელს სიმონმა დაამთავრა უნივერსიტეტი და ერთხანს იქვე დარჩა სამუშაოდ — ქართული ჭიდაობის მომავალ ოსტატებს ზრდიდა.

ტანთხელი, საშუალოზე მაღალი, სიმპათიური სიმონი ერთი შეხედვით მოჭიდავე არც გეგონებოდათ. დღესაც ისეთივე წყნარი და აუღელვებელია, როგორიც ბავშვობიდან მახსოვს, ოღონდ მაშინ ძალიან მაღალი და დიდი ნეჩვენებოდა, ახლა კი ისე აღარ...

სიმონის შვილები — მერვეკლასელი თამარი და მეექვსეკლასელი არჩილი ფრიადოსანი მოსწავლეები არიან. თებერვალში სპორტის სასახლეში ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა. არჩილიც დაესწრო. შინ დაბრუნებულს მამამ ჰკითხა. როგორ იჭიდავესო? პასუხად შვილმა ხელი ჩაავლო, აიტაცა და საწოლზე წააქცია.

— შემეშინდა, არაფერი იტკინოსმეთქი, — მიამბნება ახლა სიმონი. — თითქმის ოთხმოცდაათი კილო ვარ და... ცეკვაზე დადის, მაგრამ გული ჭიდაობისკენ უფრო უწევს, — ამბობს და იღიმება თბილი, ნათელი ღიმილით.

სიმონს ხშირად იწვევენ მსაჯად სამბისტთა საკავშირო შეჯიბრებებზეც. ქართული ჭიდაობა ხომ უმისოდ არ ჩატარდება — სიმონის მიუკერძოებლობა ცნობილია.

მახსენდება: ცირკის ტრიბუნებზე უეცრად აფეთქებული ტაში და ერთი წამით თავჩაღუნული მეტოქე, ძმურად ხელგადახვეული მერე პირველი რომ ულოცავს სიმონს გამარჯვებას. რამდენი ასეთი დღე ახსოვს სიმონს...

უნივერსიტეტში სტენდზე ვნახე 1948 წელს გადაღებული სურათები. ერთზე სპორტის ოსტატი სიმონ მაისურაძე გამარჯვების შემდეგ ცეკვავს, მეორე სურათზე კი ვიღაცას უღიმის ჩემთვის კარგად ნაცნობი თბილი და ნათელი ღიმილით...

კარგია გულწრფელი ღიმილი, განსაკუთრებით სპორტსმენებს რომ სჩვევიათ.

შ. ხოდაშნელი.

ცვლილებები კალენდარში

საკავშირო სპორტკომიტეტმა და რეგბის საკავშირო ფედერაციამ იმისთვის, რომ ერთი ქალაქის გუნდებს მეტოქეებთან ერთ დღეს არ მოეხდეთ თამაში, რაც მაყურებელს მატჩებზე დასწრების საშუალებას ართმევს, ჩემპიონატის კალენდარში ზოგიერთი ცვლილება შეიტანეს.

III ტურის შეხვედრებიდან 1 ივლისის მაგიერ 30 ივნისს ითამაშებენ სამხედრო-საჰაერო აკადემია და კიევის „სპარტაკი“. IV ტურში თბილისის დინამოელები ლენინგრადის „ბურევესტნიკს“ 8 ივლისის მაგიერ 7 ივლისს უმასპინძლებენ. 14 ივლისს მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი „სპარტაკს“ მიიღებს, ხოლო 21 ივლისს— „ფილის“.

მეორე წრეში 9 სექტემბრის მაგიერ 8 სექტემბერს ითამაშებენ „ფილი“ — „ავტომობილისტი“ (მოსკოვი), მსი— „დინამო“ (თბილისი), 15 სექტემბერს — „დინამო“ — „ფილი“, 27 სექტემბერს — მსი — სსა, 29 სექტემბერს — „დინამო“ — „ავტომობილისტი“, 6 ოქტომბერს — „დინამო“ — „სპარტაკი“ (კიევი), 13 ოქტომბერს — „სპარტაკი“ — „ფილი“, მსი — „ბურევესტნიკი“, „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „დინამო“.

ეს უკვე საგანგაშოა!

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 24 ივნისი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვი) 0:14 (0:4).

„ЛОКОМОТИВИ“: მოდებაძე, ცხვედიანი, ფეტვიაშვილი, კავთელიშვილი, ლიბრაძე, კემულარია, ნაცვლიშვილი, ბენდიაშვილი, შვანგირაძე, კილასონია, სალთხუციშვილი (სიკინჭილაშვილი), ჟღენტი, გიორგაძე, რუხაძე (ფურცელაძე), კაპანაძე.

სსა: ადომაიტისი, სვირიდოვი, ერმაკოვი (ზაიცევი), პროშჩინი, იურინი, კანუნიკოვი (დმიტრიჩევი), კულიკოვი, ტიხონოვი, ტიხომიროვი, ე. ჟერებკო, ანტონოვი, ტორონოვი, ვლადიმიროვი, ა. ჟერებკო, შაპოვალოვი.

მსაჯი რ. ივანიუხინი (კიევი).

ვიდრე მატჩზე ვილაპარაკებდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ სტუმართა უმეტესობა მინდორზე იმ ზურგის ნომრით არ გამოვიდა, რომელიც ოქმში იყო აღნიშნული, მასპინძლებს კი ნომრები სულ არ ჰქონდათ (როგორც გაირკვა, მეტოქეთა ერთნაირი ფორმის გამო მისი შეცვლა „ლოკომოტივს“ მოუხდა). ეს ისედაც ცოტა მაყურებელს თავგზას უბნევდა, აძნელებდა მსაჯის მუშაობასაც, რომელიც ვალდებული იყო ჩაენიშნა გოლის გამტანის გვარი და აღენუსხა მინდორზე მომხდარი ყოველგვარი უწესრიგობა.

შარშანდელი საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ვერცხლის მედალოსნებს მასპინძლობდა. გასული წლის პირველივე მატჩში ეს გუნდები ერთმანეთს მოსკოვში შეხვდნენ. მაშინ თბილისელებს საქმე ქვეყნის ჩემპიონთან ჰქონდათ, დიდი მონდომებით ითამაშეს და გაიმარჯვეს — 9:7.

წლეულს „ლოკომოტივი“ ის აღარაა, რაც იყო, მაგრამ ი. გაგარინის სახელობის აკადემიის რეგბისტებს ალბათ ძველი შიში აკრთობდათ, საანგარიშო მატჩი მეტისმეტად გაუბედავად რომ დაიწყეს. სტუმრები საკუთარი ჩათვლის მოედნის მისადგომების უვნებლყოფაზე უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე მასპინძელთა ჩათვლის მოედანში ბურთიანად შესვლაზე.

თბილისელები კარგად იყვნენ დარწმუნებული თავიანთ ნაკლებ საიმედო მდგომარეობაში (წინა ტურის ანგარიშში ვწერდით, რომ რამდენიმე რკინიგზელი სპორტსმენი დისკვალიფიცირებულია, ახლა დავუმატებთ, რომ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ხარშილაძე კიევის „სპარტაკთან“ შეხვედრაში დაშავდა), მაგრამ ბრძოლის სურვილი არავის განელებია და მეტოქეს თავიანთვე შეუპოვრად შეუტიეს. სტუმართა დაცვა, სადაც გამოირჩეოდნენ სვირიდოვი და განსაკუთრებით პროშჩინი, სათანადო სიმაღლეზე აღმოჩნდა.

ამ უნაყოფო იერიშით გართულ მასპინძლებს საკუთარი დაცვისთვის ზრუნვა დაავიწყდათ. ამით მე-13 წუთზე კარგად ისარგებლა ა. ჟერებკომ, მარჯვენა ფლანგიდან თბილისელთა ჩათვლის მოედნისკენ იოლად გაიჭრა და ანგარიში გახსნა — 4:0.

სსა-მ დიდხანს მეტი ვერაფერი შეძლო, ვინაიდან „ლოკომოტივმა“ საბედისწერო შეცდომიდან სათანადო დასკვნა გააკეთა და უფრო ფხიზლად დაიწყო თამაში. მასპინძლებმა მოსკოველებს საკუთარი ტაქტიკა — ნელი ტემპი მოახვიეს თავს.

მაგრამ შუა ტაიმში რუხაძე დაშავდა. მეორე ტაიმში თამაშს სალთხუციშვილიც გამოეთიშა, ბოლოს ჟღენტიც დაშავდა და „ლოკომოტივს“ მისი შემცვლელი აღარ აღმოაჩნდა. საფინალო სასტვენამდე 6 წუთით ადრე იმავე ა. ჟერებკომ ანგარიში გაზარდა, დმიტრიჩევმა კი რეალიზაცია გამოიყენა — 10:0. ბოლოს დმიტრიჩევმა ბურთი მასპინძელთა ჩათვლის მოედანში დადო.

„ლოკომოტივის“ გუნდში საგანგაშო მდგომარეობაა. სტარტზე ორი მარცხი საგრძნობი ანგარიშით, როცა რეზერვი არ გყავს, დამაფიქრებელია. კოლექტივს დროით სჭირდება შველა, თორემ მერე გვიანღა იქნება.

რ. მაღრაძე.

კვირას კიდევ ორი მატჩი ჩატარდა.

კიევში ადგილობრივმა „სპარტაკმა“ ლენინგრადის „ბურევესტნიკს“ უმასპინძლა და გათამაშების ცხრილში მეორე მოგება ჩაიწერა, ამჯერად ანგარიშით 10:7.

მოსკოვში „სატურნის“ სტადიონზე თამაშობდნენ ადგილობრივი გუნდები: „ავტომობილისტი“ (ყოფილი „სპარტაკი“) და სსრ კავშირის ჩემპიონი, სპორტკლუბი „ფილი“. გაიმარჯვა ჩემპიონმა — 13:6.

• •

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსა	2	2	0	0	36:6	4
„სპარტაკი“	2	2	0	0	29:10	4
„ფილი“	2	2	0	0	28:12	4
„ავტომობილისტი“	2	1	0	1	12:16	2
„დინამო“	2	1	0	1	25:36	2
მსი	2	0	0	2	17:25	0
„ბურევესტნიკი“	2	0	0	2	13:25	0
„ლოკომოტივი“	2	0	0	2	3:33	0

ეროვნული ბიბლიოთეკა

1973

სსრ კავშირის პირველობა

ჩემპიონატის ქრონიკა

24 ივნისს შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი, XIII ტურის შეხვედრები.

„ზარია“ — „ზენიტი“ 2:4 (პენალტებით. ძირითადი დრო — 0:0).

„დინამო“ (მოსკოვი) — ცსკა 3:0 (1:0). პირველი გოლი არმიელთა კარში მე-6 წუთზე გაიტანა ევრიუჟიხინმა. შესვენების შემდეგ კოჟემიაკინმა კიდევ ორჯერ აიღო არმიელთა კარი.

„დნეპრი“ — „კარპატი“ 5:4 (პენალტებით. ძირითადი დრო — 1:1).

„დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (კიევი) 4:5 (პენალტებით. ძირითადი დრო — 0:0).

„ფახთაკორი“ — „ქაირათი“ 4:1.

ასკ — „არარატი“ 0:2. პირველი გოლი გაიტანა ზანაზანიანმა, მეორე — იშტოიანმა.

„ტორპედო“ — „სპარტაკი“ 2:0. გოლები: ნიკონოვი, სმირნოვი.

უმაღლესი ლიგა

2 ქულა!

დონეცკი. „შახტიორის“ სტადიონი. 24 ივნისი.

„შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (თბილისი) 0:1 (0:1).

„შახტიორი“: ჩანოვი, ჟუკოვი, ზვიაგინცევი, ბელოუსოვი, გუბიჩი, ვანკევიჩი, ვასინი, კონკოვი, ჩიხლაძე, დუდინსკი, საფონოვი.

„დინამო“: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, მ. მაჩაიძე, მჭედლიშვილი, გუცაევი (გავაშელი), გ. ნოდია, წერეთელი.

მსაჯი ე. აზიმ-ზადე (ბაქო).

დუბლიორები — 1:0.

ეს იყო ერთობ დაძაბული, საინტერესო მატჩი. ორივე გუნდი თავდაუზოგავად იბრძოდა წარმატების მოპოვებისთვის. ფიზიკურად საუცხოოდ მომზადებულმა მასპინძლებმა თავიდანვე შეტევითი ოპერაციები დაიწყეს და შეძლეს კიდეც ტერიტორიული უპირატესობის მოპოვება. ისინი ახლა ტექნიკურადაც კარგად არიან მომზადებული და, ბუნებრივია, მათი იერიშები მეტოქისთვის სახიფათო იყო.

თბილისელები უმთავრესად მწვავე კონტრშეტევებს ახორციელებდნენ. სწორედ ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევით იქნა აღებული „შახტიორის“ კარი. ეს მოხდა მე-13 წუთზე, როცა წერეთლის ჩაწოდებული ბურთი კარგად მიიღო გ. ნოდიამ და თავური დარტყმით კარში გაგზავნა..

საბოლოოდ ამ ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი. მასპინძლები თავგამოდებით იბრძოდნენ ანგარიშის შეცვლისთვის, მაგრამ მეკარე გოგიამ და მცველებმა საუცხოო თამაშით მათ ამის საშუალება არ მისცეს.

მეორე ტაიმში სტუმრებმა თანდათან შეძლეს თამაშის გათანაბრება და მასპინძელთა კართან რამდენიმე საგოლე მომენტიც შეიქმნა. მაგრამ მჭედლიშვილმა და მაჩაიძემ ვერ გამოიყენეს კარის აღების კარგი შესაძლებლობანი, ბოლო წამზე კი წერეთლის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

თბილისელებმა მეტად საჭირო 2 ქულა აიღეს სტუმრად.

ო. ბუჩმა.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 ივნისისთვის

	თ.	მ.ძ.	მ.პ.	წ.		ბ.	ქ.
„არარატი“ (ერევანი)	13	7	2	4	36—21	(24—10)	16
„დინამო“ (მოსკოვი)	13	6	2	5	31—23	(18—11)	14
„დინამო“ (კიევი)	13	6	2	5	35—29	(16—10)	14
„ზარია“ (ვოროშილოვგრადი)	13	7	0	6	26—23	(16—7)	14
ცსკა	13	6	2	5	26—25	(16—17)	14
„შახტიორი“ (დონეცკი)	13	6	2	5	19—18	(11—13)	14
„დინამო“ (თბილისი)	13	5	3	5	31—24	(14—12)	13
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	13	5	3	5	28—23	(15—14)	13
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	13	6	0	7	30—30	(19—16)	12
„ტორპედო“ (მოსკოვი)	13	6	0	7	22—22	(16—14)	12
„ქაირათი“ (ალმა-ათა)	13	4	3	6	23—27	(10—17)	11
„დინამო“ (მინსკი)	13	4	0	9	26—30	(10—10)	8
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	13	3	2	8	32—35	(13—16)	8
„კარპატი“ (ლვოვი)	13	2	3	8	31—40	(10—20)	7
ასკ (დონის როსტოვი)	13	2	2	9	25—36	(5—15)	6
„ფახთაკორი“ (ტაშკენტი)	13	2	1	10	21—36	(12—23)	5

II ლიგა IV ზონა

23 ივნისს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

ფოთი

ადგილობრივი „კოლხეთი“ ბრიანსკის „დინამოს“ მასპინძლობდა. ფოთელებს მთელი თამაშის მანძილზე მეტოქის კარის აღების უამრავი შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ მხოლოდ ერთხელ მიაღწიეს მიზანს. ეს მოხდა 39-ე წუთზე, როცა არზიანმა კარგად ჩააწოდა ბურთი კვარაცხელიას და ამ უკანასკნელმა აიღო ბრიანსკელთა კარი. მასპინძელთაგან თავი გამოიჩინეს, აგრეთვე, ფილიამ და კვარაცხელიამ. პირველმა დაცვაში ისახელა თავი, მეორემ კი მეტოქეთა საჯარიმო მოედანზე შექმნა რამდენიმე საგოლე მომენტი.

სტუმრების ცდას — როგორმე გაექვითათ გოლი, შედეგი არ მოუტანია. გაიმარჯვა „კოლხეთმა“ — 1:0.

ბ. ბასილაია.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

სამტრედია

სამტრედიის „ლოკომოტივისა“ და გორის „დილის“ შეხვედრის პირველი ნახევარი სტუმრების შეუნელებელი შეტევებით აღინიშნა. მათ უკვე მე-8 წუთზე შეძლეს მასპინძელთა კარის აღება: ქერდიკაშვილმა გოშალაძის ჩამოწოდებული ბურთი თავით გაგზავნა „ლოკომოტივის“ კარის ბადეში. იმავე ქერდიკაშვილმა 6 წუთის შემდეგ ძლიერად დაარტყა კარში. ბურთი სამტრედიელთა რომელიღაც მცველს მოხვდა, მას მიუსწრო გორელმა მესხაძემ და კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი — 2:0.

შემდგომში მასპინძლები გამოცოცხლდნენ, შესვენების შემდეგ კი თამაში მათი ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა. ამ ვითარებაში მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა გორელთა მეკარე ცხოვრებოვი, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთი მოიგერია.

გაიმარჯვეს გორელებმა — 2:0.

უ. ფურცელაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

თასის მატჩები

ასე დამთავრდა: „დინამო“ (ბათუმი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 6:7 (პენალტებით. ძირითადი დრო — 1:1), „დინამო“ (სოხუმი) — „ზვეზდა“ (ტირასპოლი) 0:1, „გურია“ (ლანჩხუთი) — „ლოკომოტივი“ (კალუგა) 2:1, „დინამო“ (ვოლოგდა) — „ტრუდი“ (ვორონეჟი) 1:0, „სპარტაკი“ (კოსტრომა) — „ტორპედო“ (ვლადიმირი) 1:0, „ვოლგა“ (გორკი) — „სპარტაკი“ (რიაზანი) 2:1, „სატურნი“ (რიბინსკი) — „რევტრუდი“ (ტამბოვი) 7:3 (პენალტებით. ძირითადი დრო — 2:2).



ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ

ძია კოლია

ასე იცნობს დიდი და პატარა, სპორტის ახალბედა თუ ვეტერანი ნიკოლოზ სეფაშვილს, წარსულში საუკეთესო სპორტსმენს, ათეული წლების მანძილზე ახალგაზრდობის აღმზრდელს, მწვრთნელს, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დიდ მცოდნეს, სპორტსმენთა მრავალი თაობის მეგობარს.

გაიხსენეთ მოსწავლეთა რესპუბლიკური თუ საკავშირო სპარტაკიადების საზეიმო აღლუმები: ძია კოლია მუდამ სათავეში უდგას საქართველოს სპორტულ კოლონას, მოაბიჯებს წელში გამართული, ლაღად მოუძღვის ჯერ კიდევ დაუღვინებელ სპორტსმენებს.

ნიკოლოზ სეფაშვილს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდური კაბინეტის გამგის მოადგილეს, რესპუბლიკის სკოლის დამსახურებულ მასწავლებელს, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს ახლახან 70 წელი შეუსრულდა. 70 წელი პატარა დრო როდია. ცოტა არც 50 წელია, ნ. სეფაშვილმა საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას რომ მოახმარა. მაგრამ ძია კოლია ხანს არ უჩივის, ისევ ჭარმაგად გრძნობს თავს, ისევ ძველებურად ხალისიანი და ენამჭევრია, ისევ დაუღალავად ემსახურება საყვარელ საქმეს.

კაცურ კაცს, ამაგდარ მუშაკს კოლეგებმა, მეგობრებმა და ამხანაგებმა გულითადად მიულოცეს დაბადების 70 და მოღვაწეობის 50 წელი, სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ კი იგი სსრ კავშირის განათლების წარჩინებულის ნიშნით დააჯილდოვა. დიდ ჯილდოს გილოცავთ, ძია კოლია, გისურვებთ კვლავაც წარმატებებს, დიდხანს ჯანმრთელ სიცოცხლესა და თქვენებურ ხალისიანობას!

ჯ. ენუქიძე.

• • •

სურათზე: ნ. სეფაშვილი მოუძღვება საქართველოს სპორტულ დელეგაციას 1963 წელს ვოლგოგრადში ჩატარებული მოსწავლეთა VIII საკავშირო სპარტაკიადის საზეიმო გახსნაზე. მაშინ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა კომპლექსურ ჩათვლაში IV ადგილი დაიკავეს.

ვარჯიშობენ, ემზადებიან

კავშირგაბმულობის ზუგდიდის რაიონული კვანძის პროფკავშირის ადგილკომის (თავმჯდომარე თ. მამფორია) თაოსნობით რაიონულ კვანძთან ჩამოყალიბდა ფეხბურთელთა და ფრენბურთელთა გუნდები (მწვრთნელი პ. ტაბალუა). ამჟამად ახალგაზრდები სისტემატურად ვარჯიშობენ, აწყობენ ამხანაგურ შეხვედრებს და სარაიონო პირველობაში მონაწილეობისთვის ემზადებიან.

გ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

ევროპის ფეხბურთის ამბები

ჯ. რივერა — № 1

სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად იტალიის № 1 ფეხბურთელად 1973 წლისთვის აღიარებულია ეროვნული ნაკრებისა და „მილანის“ ნახევარმცველი ჯ. რივერა.

• •

მეკარე — პენალტების ოსტატი

„მატჩი მეკარემ მოიგო“ — სრული უფლებით წერდნენ უნგრელი მიმომხილველები „ჰონვედის“ მეკარე ბიჩკეიზე, რომელიც ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ კანდიდატად ითვლება.

საქმე ისაა, რომ „ვიდეოტონთან“ შეხვედრაში გამარჯვებული 11-მეტრიან დარტყმებს უნდა დაესახელებინა. და აი, ბიჩკეიმ სამი პენალტი აიღო, შემდეგ კი თვითონ გაიტანა ბურთი მეტოქის კარში.

გაიმარჯვეს მოსკოველებმა

კიევი, 24 ივნისი. დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალში ხტომაში. ასპარეზობის დასკვნით დღეს ჩატარდა ვაჟთა შეჯიბრება 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში. ოქროს მედალი მოიპოვა მინსკელმა სტუდენტმა ნ. მიხაილინმა — 531,78 ქულა. ვერცხლის ჯილდო ხვდა ერევნელ დ. ამბარცუმიანს (492,66), ბრინჯაოსი — ალმაათელ ვ. კარპოვს (482,37).

წინადღით გამოვლინდნენ პრიზიორები 3-მეტრიანი ტრამპლინიდან მხტომელ ქალთა შეჯიბრებაში. ფინალური ნაწილი დამაჯერებლად ჩაატარა მოსკოვის დინამოელმა თ. საფონოვამ. აქ მან ქვეყნის ჩემპიონატში თავისი მერვე უმაღლესი ჯილდო მოიპოვა — 405,87 ქულა. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრა ორმა ელენამ — ალმაათელმა ტერეშჩენკომ (376,62) და მოსკოველმა ემელიანოვამ (375,18). სხვათა შორის, ეს ალმაათელი მხტომელისთვის მეორე ჯილდო იყო. მანამდე მან III ადგილი დაიკავა 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მოსკოველებმა.

რაიონებში [illegible]

✦ წალენჯიხა

მოჭადრაკე ვაჟთა საქალაქო პირველობაში 16 კაცი მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა პირველთანრიგოსანმა კ. ჩიქობავამ — 15 ქულა.

ო. სალია.

✦ წითელი წყარო

აქ გაიმართა შეჯიბრება საწონებით ვარჯიშში. პირველობა არავის დაუთმეს ზემომაჩხაანელებმა. ჩატარდა, აგრეთვე, „კოლმეურნის“ რაიონული პირველობა ძალოსნობაში. აქაც გუნდური გამარჯვება ზემომაჩხაანის წარმომადგენლებს ხვდათ.

უ. ჭყარუაშვილი.

✦ ჩოხატაური

რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადის კომპლექსურ ჩათვლაში პირველობა წილად ხვდა ჩოხატაურის 1-ლი საშუალო სკოლის კოლექტივს. რვაწლიანი სკოლების წარმომადგენელთა შორის გაიმარჯვეს ბუკნარელებმა.

• • •

კომკავშირის რაიკომის, განათლების განყოფილებისა და სამხედრო კომისარიატის თაოსნობით გასამხედროებული თამაშის „ორლიონოკის“ პროგრამით მოეწყო მოსწავლეთა ლაშქრობა მარშრუტით: დაბის ცენტრი — ფარცხმა — ტყეპარკი — ბურნათის გორა. ლაშქრობაში მონაწილეობდა 300-ზე მეტი უფროსკლასელი მოსწავლე.

დ. გურგენიძე.

ფინიში



ლენინგრადში, მოჭადრაკე ვაჟთა საზონათშორისო ტურნირის XV ტურში ბ. ლარსენი (დანია) ზედიზედ მესამედ დამარცხდა და, ცხადია, პრეტენდენტის საგზურისთვის ბრძოლას გამოეთიშა. ახლა მას რ. ბირნმა (აშშ) მოუგო. ძველინდურ დაცვაში ბირნმა პოზიციური თამაში გააჩაღა. ლარსენს ყაიმი ხელს არ აძლევდა და ამიტომ აქტიურ გაგრძელებებს ეძებდა. ცაიტნოტში იგი უხეშად შეცდა და უფიგუროდ დარჩა.

ვ. კორჩნოის (სსრ კავშირი) მეტოქემ ე. ტორემ (ფილიპინები) რთულ დებიუტს — ბენონის დაცვას მიმართა, მაგრამ სიძნელეებს თვითონვე ვერ გაართვა თავი. კორჩნოი ინიციატივას დაეუფლა და პაიკი მოიგო. პარტია გადაიდო.

ინგლისურ დაცვაში ა. კარპოვმა (სსრ კავშირი) და ი. რადულოვმა (ბულგარეთი) ბევრი ფიგურა გაცვალეს. როცა დაფა უდაბნოს დაემსგავსა, მეტოქენი დაზავდნენ.

რ. ჰიუბნერმა (გფრ) მ. კუელართან (კოლუმბია) დასაწყისშივე პოზიციური უპირატესობა მიიღო და ენდშპილში გადასვლით მოგება დაიახლოვა. 54-ე სვლაზე კუელარმა მას გამარჯვება მიულოცა.

გ. კუზმინმა (სსრ კავშირი), რომელიც დიდოსტატის ნორმატივის შესრულებისთვის იბრძვის, ი. რუკავინასთან (იუგოსლავია) წარმატებით ითამაშა და გაიმარჯვა.

მ. ტალმა (სსრ კავშირი) დილით მ. კინტეროსს (არგენტინა) მოუგო XI ტურიდან გადადებული პარტია, საღამოს კი ს. გლიგორიჩს (იუგოსლავია) შეხვდა. ესპანურ პარტიაში ტალმა დაჯაბნა იუგოსლაველი დიდოსტატი და პარტია მოსაგებ დაბოლოებაში გადადო. კინტეროსი ეთამაშა ვ. ულმანს (გდრ) და მანაც პარტია გადადო. ულმანს ზედმეტი პაიკი აქვს.

მ. ტაიმანოვ (სსრ კავშირი) — ი. სმეიკალის (ჩეხოსლოვაკია) შეხვედრაში ლენინგრადელი მოჭადრაკე შეცდა ცნობილ პოზიციაში. სმეიკალმა პაიკი მოიგო და პარტია გადაიდო. გადაიდო, აგრეთვე, ვ. ტუკმაკოვ (სსრ კავშირი) — გ. ესტევესის (კუბა) პარტია. ტუკმაკოვმა შეწირულ პაიკში სამაგიერო ვერ მიიღო.

გადადებული პარტიების დამთავრებისას, რომელიც გუშინწინ მოეწყო, კარპოვს დანებდნენ გლიგორიჩი და რუკავინა. 2 ქულა შეიძინა სმეიკალმაც: სძლია ტაიმანოვსა და ტუკმაკოვს.

ჯერ კორჩნოიმ, მერე ჰიუბნერმა მოუგეს ტორეს.

ტალმა და ბირნმა, ულმანმა და კუზმინმა ითამაშეს XIII ტურიდან გამოტოვებული პარტიები. ტალი ყაიმს დასჯერდა, მეორე შეხვედრა კი დაუმთავრებელი დარჩა. იმ დღეს ტალმა კიდევ ქულა მიიღო: მას გლიგორიჩი დანებდა.

ლარსენმა სძლია კუელარს.

15 ტურის შემდეგ ვ. კორჩნოისა და ა. კარპოვს 11,5-11,5 ქულა აქვთ, ი. სმეიკალს — 10,5, რ. ბირნს — 10 ქულა და 1 გადადებული პარტია, რ. ჰიუბნერს — 9,5, ბ. ლარსენს — 9.

• • •



სურათებზე: რ. ჰიუბნერი (ზევით), ე. ტორე (მარცხნივ) და მ. კინტეროსი.

ვ. გალაქტიონოვის ფოტოები.

პირველი ყაიმი

პიარნუ, 25 ივნისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ესტონეთის მოჭადრაკე ვაჟთა მეგობრობის ტურნირის V ტურში პირველი მარცხის სიმწარე იწვნია ერთპიროვნულმა ლიდერმა ე. იუქსტმა (ტალინი): მას თანაქალაქელმა ოსტატმა გ. უუსიმ მოუგო. პირველი გამარჯვება იზეიმა ი. ვეტემაამ (ტალინი), რომელმაც ე. კივიოას (პიარნუ) სძლია.

ჰ. კიარნერმა (ტალინი) მოუგო თანაქალაქელ ვ. ჰეუერს, ო. მოისეევმა (მოსკოვი) — ა. სოოპს (პიარნუ).

ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი) — ა. ხერმლინის (იუგავა) პარტიაში სიცილიური დაცვა გათამაშდა. ესტონელმა ოსტატმა ბოლესლავსკის სისტემა გამოიყენა და დაკვირვებული თამაშით პოზიცია გაათანაბრა. მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. 5 ტურის შემდეგ ო. მოისეევს 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ე. იუქსტს — 3, ჰ. კიარნერსა და მ. ცეიტლინს (მოსკოვი) — 2,5-2,5 (2-2).

ლ. ნაჭყებია.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

ფიგურული ციგურაობა

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო ჩიკაგოდან იუწყება, ფიგურული ციგურაობის უბადლო ოსტატმა, ამერიკელმა ჯენეტ ლინმა თანხმობა განაცხადა პროფესიულ დასში გადასვლაზე. ამერიკის შეერთებული შტატების ხუთგზის ჩემპიონმა, მსოფლიო პირველობის ვერცხლის მედალოსანმა, საპოროს „თეთრი თამაშების" ბრინჯაოს პრიზიორმა სამი წლით მოაწერა ხელი კონტრაქტს ცნობილი რევიუს „აის ფოლიზის" მფლობელებთან.

28 ივნისს

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სხდომათა დარბაზში გაიმართება **„სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს II პლენუმი.**

დღის წესრიგი:

„სპარტაკის" საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მიერ 1972 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგები და 1973 წლის ამოცანები (მომხსენებელი ა. კორინთელი).

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 17 იანვრის დადგენილების შესრულება „სპარტაკის" ფიზკულტურულ ორგანიზაციებში (მომხსენებელი შ. კულულაშვილი).

დასაწყისი 12 ს.

თბილისი სპორტულ ბაზაზე

ფეხბურთი. რესპუბლიკური შეჯიბრების ფინალური მატჩი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის „სიჭაბუკის თასზე". 27 ივნისი. ასკ-ს სტადიონი. თბილისი I — თბილისი II. დასაწყისი 12 ს.

„ფიატი", „მოსკვიჩი"...

სოფია, 25 ივნისი. მეოთხე საერთაშორისო ავტორალი „ოქროს ქვიშა" პოლონელმა მრბოლელებმა მოიგეს, რომლებიც ამ ქვეყანაში გამოშვებული „ფიატებით" ასპარეზობდნენ.

II ადგილზე გავიდა საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომლის წევრები „მოსკვიჩ-412" მარკის ავტომობილებით გამოდიოდნენ.

პირად ჩათვლაში გაიმარჯვა იტალიელთა ეკიპაჟმა (ბარბაზიო და მაკალუზო). ისინი სპეციალური მოდელის („რალი") „ფიატ-124"-ით ასპარეზობდნენ.

საბჭოთა მრბოლელები ბუბნოვი და პეჩონკინი VI ადგილზე გავიდნენ.

• •

20 კილომეტრით აჯობეს

ვარშავა, 25 ივნისი. პოლონელმა ავტომობილისტებმა ამ სახელმწიფოში გამოშვებული „ფიატ-125" მარკის მანქანით შვიდ დღეღამეში 25000 კილომეტრი გაიარეს საათში 138 კმ საშუალო სიჩქარით. ეს შედეგი 20 კილომეტრით სჯობს ფრანგი ავტომრბოლელების მსოფლიო რეკორდს, რასაც მათ „სიმკა-არონდით" მიაღწიეს.

მსოფლიო ფეხბურთის გაზეთი

15 აგვისტოს, ბარსელონაში

ფიფა-ს დადგენილებით, 15 აგვისტოს აღინიშნება „მსოფლიოს ფეხბურთის დღე". ეს დღესასწაული ამიერიდან ტრადიციად იქცევა.

ამასთან დაკავშირებით ბარსელონაში დიდი ზეიმი გაიმართება, სადაც ყურადღების ცენტრში იქნება ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ნაკრები გუნდების მატჩი.

• •

ჯენინგსი — № 1

დიდ ბრიტანეთში წლის № 1 ფეხბურთელად სპორტულმა ჟურნალისტებმა დაასახელეს ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურისა" და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების მეკარე პატ ჯენინგსი, რომელმაც შორს ჩამოიტოვა ყველა სხვა კონკურენტი.

ეს უკვე ზედიზედ მეორე შემთხვევაა, როდესაც წლის № 1 ფეხბურთელად მეკარეს ასახელებენ. შარშან უძლიერესად ბენქსი იყო აღიარებული.

მეორე ადგილი „ლიდსის" მცველ პოლ მედლის მიეკუთვნა, მესამე — „ლივერპულის" მცველ ემლინ ჰიუზს.

• •

ძველი შეცდომის გამოსწორება

მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ცნობით, გფრ-ის ნაკრები ყველა სხვა გუნდისგან განსხვავებულ დროს ითამაშებს. ფიფა-ს პრეზიდენტმა ს. როუზმა განაცხადა, რომ დაეთანხმა ამ მოსაზრებას. „ჩვენ შევეცდებით გამოვასწოროთ ის შეცდომები, რომლებიც 1970 წლის ჩემპიონატის დროს მოგვივიდა. მასპინძელი — გფრ-ის გუნდი სხვებისგან განსხვავებულ დროს ითამაშებს, რათა ამ მატჩის ტელეგადაცემამ ხელი არ შეუშალოს სხვა შეხვედრებზე დასწრებას. მექსიკაში ადგილობრივი გუნდის თამაში სხვა მატჩებს ემთხვეოდა, მაყურებლები შინ რჩებოდნენ და სტადიონზეც ხალხი ნაკლებად დადიოდა".

• •

ახალი ვარსკვლავი

ესპანური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიაჩნიათ „ვალენსიის" მოთამაშე ვალდესი. იგი დი სტეფანომ აღმოაჩინა არგენტინაში, ერთ-ერთი ნაკლებად ცნობილი გუნდის „პლატენსეს" ვარჯიშის დროს. დი სტეფანომ დაადგინა, რომ ვალდესის მშობლები ესპანეთიდან ყოფილან წასული. არსებული წესების თანახმად, არაფერი უშლიდა ხელს ვალდესის გადასვლას „ვალენსიაში", სადაც ახალმა ფეხბურთელმა დი სტეფანოს ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს მიაღწია და, როგორც მოელიან, ცოტა ხანში საერთაშორისო ასპარეზზეც გაითქვამს სახელს.

• •

„ჩემი ფეხბურთი"

ასე ეწოდება წიგნს, რომლის ავტორია გამოჩენილი ფრანგი ფეხბურთელი რ. კოპა. ავტორი ასახელებს სამ ფეხბურთელს, რომლებიც, მისი აზრით, მსოფლიოში უძლიერესნი იყვნენ: 1. პელე, 2. პუშკაში, 3. დი სტეფანო.

მაგრამ კოპა იმასაც შენიშნავს, რომ ნებისმიერ პირველხარისხოვან კოლექტივს ყველაზე უფრო გამოადგებოდა დი სტეფანო, როგორც შეუდარებელი ორგანიზატორი.

• •

ახალი წესები ძველ ტურნირში

ინგლის — იტალიის კლუბების ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ მომავალ შეჯიბრებაში წესები ახალი იქნება. ამიერიდან მოგებისთვის გუნდს მიეცემა 4 ქულა, ფრესთვის — 2, ნულოვანი ფრესთვის — 1 ქულა.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული მწვრთნელთა სკოლა აცხადებს მიღებას 1973-74 სასწავლო წლისთვის დასწრებულ განყოფილებაზე.

სკოლა ამზადებს საშუალო სპეციალური განათლების მწვრთნელ-მასწავლებლებს. მიიღებიან არანაკლებ მეორე თანრიგის სპორტსმენები (30 წლის ასაკამდე), რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა. მიღება — შემდეგ სპეციალობებზე: მძლეოსნობა, კალათბურთი, ხელბურთი, სპორტული ტანვარჯიში, ფრენბურთი, ფეხბურთი, ცურვა, ჭიდაობა, ველოსპორტი, ჩოგბურთი, სროლა.

I კურსზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

1. სპეციალობა, 2. საერთო ფიზიკური მომზადება (ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა), 3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), 4. მათემატიკა (ზეპირი).

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ისინი, ვისაც დამთავრებული აქვს არასრული საშუალო სკოლა ქების სიგელით (ფრიადოსნები) და საშუალო სკოლა — ოქროს ან ვერცხლის მედლით. საჭირო ნიშნების მიღების შემთხვევაში უკონკურსოდ ჩაირიცხებიან სკოლაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმოების მიერ მოვლინებულნი (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 სექტემბრის № 1092 დეგულების საფუძველზე), აგრეთვე ისინი, ვისაც აქვს პროფილით მუშაობის, სულ ცოტა, ორი წლის სტაჟი ან დემობილიზებულია საბჭოთა არმიიდან სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან.

განცხადებები მიიღება:

I კურსზე — 1-დან 31 ივლისამდე, II კურსზე — 1 ივლისიდან 15 აგვისტომდე. გამოცდების ჩაბარება 11-დან 25 აგვისტომდე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № 286), 4. ოთხი შემოწმებული ფოტოსურათი ზომით 3×4 სმ, 5. ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ დადასტურებული ამონაწერი შრომის ან საკოლმეურნეო წიგნაკიდან (წარმოადგენენ საწარმოო სტაჟის მქონენი), 6. საკლასიფიკაციო წიგნაკი იმის დასადასტურებლად, რომ შემომსვლელს აქვს მეორე სპორტული თანრიგი არჩეულ სახეობაში, 7. ცნობა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების შესახებ, 8. დაბადების მოწმობა ან პასპორტი (წარმოადგენენ პირადად), გასაწვევი ასაკის პირებმა ან სამხედრო ვალდებულებმა უნდა წარმოადგინონ სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა.

სწავლების ხანგრძლივობა I კურსზე ჩარიცხულთათვის 3 წელია, II კურსზე ჩარიცხულთათვის — 2 წელი. მწვრთნელთა სკოლაში ჩარიცხულებს დაენიშნებათ სტიპენდია საერთო წესით, რაიონებიდან ჩამოსულები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

განცხადება შემოტანილი უნდა იქნეს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორის სახელზე არჩეული სპეციალობის აღნიშვნით.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

მწვრთნელთა სკოლის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი.

ტელეფონები: 22-31-60, 22-24-69, 22-00-76.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 02708